

აღდგენილი პოზიციები

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 6 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – ცსკა – 1:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, მოძუაშვილი კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშელი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია. ლ. ნოდია.

ცსკა: შმუცი, ისტომინი, შესტერნიოვი, აფონინი, კაპლიჩნი, მასლიევი (პოტაშევი), დუდარენკო, კოპეიკინი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, ჟიგუნოვი.

მსაჯი: ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები – 1:1.

სულ ორიოდე წუთი იყო გასული მატჩის დაწყებიდან და ადვილად შეიძლებოდა შეხვედრა ორჯერ განახლებულიყო: ჯერ პოლიკარპოვმა ვერ გამოიყენა ისტომინის მიერ მარჯვენა ფლანგიდან შესრულებული საუკეთესო გადაცემა, მერე კი გავაშელმა ვერ მიუსწრო ლ. ნოდიას მოწოდებულ ბურთს კარის წინ, სადაც მას არავინ ჰყავდა ხელის შემშლელი.

შემდგომ სამ წუთში ცსკა-ს კარი კიდევ ზედიზედ ორჯერ გადარჩა ისეთივე ნაღდ გოლს, როგორც ზევით აღწერეთ, მერე კი პოლიკარპოვი წამით დარჩა უმეთვალყუროდ სავსებით ღია პოზიციაში და ურუშაძემ ბოლო მომენტში მიუსწრო კარში უძლიერესი ძალით დარტყმულ ბურთს.

აი, ასე, თითქმის სადემონსტრაციო სტილში დაიწყო მატჩი, რომელსაც ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის. ფეხბურთელებში არ იგრძნობოდა შებორკილობა და ნერვიულობა, შიში მოსალოდნელი შეცდომის გამო, რაც ხშირად ახასიათებს ამგვარი მატჩების დასაწყისს. ორივე გუნდის მხრივ მინდორზე იყო სსრ კავშირის ნაკრების 9 წარმომადგენელი, რომლებმაც ტონი მისცეს თავიანთ პარტნიორებს, რომ ეთამაშათ თამამად, გაშლილად, ხშირი იერიშებით.

არმიელებმა შუა მინდვრის საფუძვლიანი დაპატრონება განიზრახეს. მასლიაევი, ფედოტოვი, დუდარენკო, პოლიკარპოვი ამ ზონაში იწყებდნენ მრავალსვლიან კომბინაციებს იმ მიზნით, რომ შეტევის დასასრულისთვის რომელიმე მათგანი კოპეიკინს და ჟიგუნოვს შეერთებოდა გადამწყვეტი დარტყმისათვის. ეს ტაქტიკა ახალი არაა არავისთვის, მითუმეტეს, თბილისის “დინამოს” მცველთათვის. მაგრამ საქმე ისაა, ვინ როგორ ასრულებს ასეთი სირთულის კომბინაციებს. მოსკოველები დამაჯერებლად, ზუსტად მოქმედებდნენ მინდვრის შუაგულში, ყურადღებით ახორციელებდნენ საიერიშო კომბინაციებს, მაგრამ შემდგომში, უკვე შეტევის დამთავრებისას, მათ მაინც აკლდათ ძალა შედეგის მისაღწევად. თბილისელები მუდამ პოულობდნენ საშუალებას, რომ მოეხდინათ ძალთა გადაჯგუფება დაცვაში, შეექმნათ რიცხოვრივი უპირატესობა და ყველაზე სახიფათო მომენტებშიც კი ჰყოლოდათ მეტოქეზე ერთი კაცით მეტი ბოლო დარტყმის დროს. ხურცილავას, მოძუაშვილს, ხინჩაგაშვილს და სხვებს დიდი ჯაფა დაადგათ, მაგრამ ფაქტი ფაქტია: მათი კარი ხელშეუხებელი დარჩა, თუმცა იყო პერიოდები, როცა “დინამოს” თავდამსხმელები ადუნებდნენ ბრძოლას წინა ხაზზე და ცსკა-ს ხანგრძლივი შეტევის შესაძლებლობა ეძლეოდა.

თბილისელებს ამ მატჩში წმინდა წყლის ოთხი ფორვარდი ჰყავდათ, რომლებსაც არც ერთ საიერიშო ეპიზოდში არ ჩამორჩენია ასათიანი და, თუ ავიღებთ ორივე კართან შექმნილ სახიფათო მომენტებს, გოლის გატანის საერთო შესაძლებლობებს, თბილისელებს ისინი შეუდარებლად მეტი ჰქონდათ, ვიდრე არმიელებს და მათ სულ იოლად შეეძლოთ გაცილებით უკეთესი ანგარიშიც ჰქონოდათ. რად ღირს თუნდაც ერთი მომენტი: 67-ე წუთზე, როცა დინამოელები უკვე იგებდნენ მატჩს, მეტრეველი გაექცა მცველებს ცენტრში და პირისპირ დარჩა მეკარე შმუცთან. მეტრეველს, ალბათ, ჯერ არასდროს გაუშვია ხელიდან ასეთი ხელსაყრელი მომენტი, ახლა კი გაუშვა.

დინამოელთა შეტევა ძირითადად მარცხენა ფლანგიდან წარმოებდა. ლ. ნოდიას წინააღმდეგ აქ თამაშობდა გამოცდილი მეზრძოლი და ცნობილი ოსტატი ისტომინი. მოსკოველი მცველი ამ დღეს მოწაფესავით გამოიყურებოდა თავისი ახალგაზრდა ოპონენტის წინაშე და ვერაფერი მოუხერხა მას. მცველისა და გარემარბის ორთაბრძოლა სისტემატურად იმით მთავრდებოდა, რომ ისტომინს ზეპირად ჰქონდა დასწავლილი ლ. ნოდიას ზურგზე დაწერილი ციფრი – 11.

გოლიც ლ. ნოდიას მიერ იყო “ორგანიზებული”. 61-ე წუთზე მან რეიდი ისევ უნაკლოდ შეასრულა, მიაწოდა ცენტრში და გ. ნოდიათ თავური დარტყმით ბურთი ბადეში გაგზავნა.

ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა, თუმცა თბილისელები არ უნდა დასჯერებოდნენ მას. გუნდმა კარგად ჩაატარა მატჩი ლიდერთან, დამსახურებულად გაიმარჯვა, მაგრამ ეს მოგება უფრო

დამაჯერებელი იქნებოდა, გუნდს უკეთ რომ გამოეყენებინა თავისი საერთო უპირატესობა და მოპირდაპირე კართან შექმნილი საგოლე მომენტები.

ახლა, ვოროშილოვგრადსა და ბაქოში დაკარგული 3 ქულის შემდეგ, დინამოელებმა კვლავ აღიდგინეს სალიდერო პოზიციები და იმედი უნდა ვიქონიოთ, ბოლომდე შეინარჩუნებენ მათ.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 8 ივლისი, 1970 წ.